ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5910483

ნომერი: AR1892269

თარიღი : 10.04.2022

გაცემის თარიღი : 21.04.2022

გაცნობის თარიღი : 21.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 10ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დალი ბენაშვილი პ/ნ 01034005571
- თბილისი დ.ბერიაშვილის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 10 აპრილის №AR1892269 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5887371 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ფართების ნუმერაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 14 აპრილის №5898282 ბრძანებით და 2022

წლის 18 აპრილის №5903116 გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული. კერძოდ, 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილი ავტოსადგომების რაოდენობა შეადგენს 62-ს, ხოლო ამავე ნიშნულის გეგმაზე ექსპლიკაციაში მითითებულია - 64. გარდა ამისა, №25 სარდაფის ფართი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მდებარეობს -1 სართულზე, ხოლო წარმოდგენილი გეგმების მიხედვით განთავსებულია 0 სართულზე. ამასთან, წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი ავტოსადგომების ფართები არ შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში (მათ შორის ვექტორულ ფაილში) დაფიქსირებულ ზომებს (შეთანხმებულ გეგმებზე დატანილი იყო სწორად).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5887371 ბრძანებით შეთანხმებული -5.80, -2.90 და 0.00 ნიშნულის გეგმების იდენტური გეგმები გასწორებული ნუმერაციის (საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად), ექსპლიკაციების და ფართობების დატანით.
ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 18 აპრილის №5903116 გადაწყვეტილებას გაეცანით 2022 წლის 18 აპრილს, ხოლო, განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2022 წლის 20 აპრილს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღიდან დარჩენილია 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 10 აპრილის №AR1892269 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.